## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**მოსამართლე -- --მიმართ**
**დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე**

**16 ივლისი 2018 წელი** **ქ. თბილისი**

**დისციპლინური საქმე №229/17**

-- -- 2017 წლის 19 დეკემბრის №- საჩივრის საფუძველზე, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 30 აპრილის №229/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

**1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:**

საჩივრის ავტორების განცხადებით, მან 2016 წლის 18 ნოემბერს სარჩელით მიმართა -- რაიონულ სასამართლოს მოპასუხის, სს „-- --“-ს მიმართ. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. მოსამართლის თანაშემწის, -- -- მიერ მოსარჩელეს ეცნობა, რომ სარჩელი იყო -- საქალაქო სასამართლოს განსჯადი და თუ ის არ გაიხმობდა მას, მოსამართლე იძულებული იქნებოდა განჩინებით უარი ეთქვა მხარისათვის სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. შესაბამისად, ხარჯების ეკონომიის მიზნით, -- -- გამოიხმო სარჩელი, რაც დადასტურდა -- რაიონული სასამართლოს 2016 წლის 22 ნოემბრის განჩინებით.

2016 წლის 12 დეკემბერს სარჩელი შეტანილ იქნა -- საქალაქო სასამართლოში (საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --). 2016 წლის 16 დეკემბრის განჩინებით, საჩივრის ავტორს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე იმ მოტივით, რომ ის იყო -- რაიონული სასამართლოს განსჯადი.

2017 წლის 23 იანვარს საჩივრის ავტორმა კვლავ მიმართა სარჩელით -- რაიონულ სასამართლოს. 2017 წლის 26 იანვრის განჩინებით მას კვლავ უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე.

2017 წლის 09 თებერვალს -- --, რომელიც არის მოსარჩელე -- -- მეუღლე და მისი წარმომადგენელი, ისევ მიმართა სარჩელის -- რაიონულ სასამართლოს. ამჯერად მოსამართლე -- -- სარჩელი მიიღო წარმოებაში.

მოსამზადებელ ეტაპზე მოსამართლემ გამოთქვა თანხმობა, რომ თუ ექსპერტიზის დასკვნა დატოვებდა კითხვებს, ის აუცილებლად ჩაატარებდა ადგილზე დათვალიერებას სპეციალისტის მონაწილეობით. თუმცა, ჩაიგდო რა ხელში ექსპერტიზის ყალბი დასკვნები, ისეთი ექსპერტი მოიწვია, რომელიც არაობიექტური იყო და გაამართლებდა ბანკს. მოსამართლემ არ შეადგინა ადგილზე დათვალიერების ოქმი, რითაც დაარღვია კანონი.

გარდა ამისა, საჩივრის ავტორმა 2017 წლის 20 ნოემბერს განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა, სხდომის ოქმის აუდიო-ვიდეო ჩანაწერების, ადგილზე დათვალიერების ოქმის ასლის და ვიდეო ჩანაწერის გადაცემა. ორი კვირის შემდეგ, თანაშემწემ შეატყობინა მხარეს, რომ ოქმები არ იყო მზად და შესაბამისად, ვერ მოხდებოდა მათი გაცემა.

**2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

**2.1.** 2016 წლის 18 ნოემბერს საჩივრის ავტორის მარწმუნებელმა, რომელიც იმავდროულად მისი მეუღლეა, სარჩელით მიმართა -- რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა, მოპასუხისათვის, სს „-- --“-სათვის 5 700 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების დაკისრება. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2016 წლის 22 ნოემბერს -- რაიონულ სასამართლოს წარედგინა -- -- განცხადება სარჩელის გამოხმობის თაობაზე.

2016 წლის 22 ნოემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის განცხადება და 2016 წლის 18 ნოემბრის სარჩელი დარჩა განუხილველი.

**2.2.** 2016 წლის 12 დეკემბერს -- -- 2016 წლის 18 ნოემბრის იდენტური სარჩელით ამჯერად -- საქალაქო სასამართლოს მიმართა. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2016 წლის 16 დეკემბრის განჩინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი არ უნდა მიღებულიყო წარმოებაში, ვინაიდან ის არ იყო -- საქალაქო სასამართლოს განსჯადი.

**2.3.** 2017 წლის 24 იანვარს -- -- სარჩელით მიმართა -- რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა, მოპასუხისათვის, სს „-- --“-სათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება 7 500 ლარის ოდენობით. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2017 წლის 26 იანვრის განჩინებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე და განემარტა, რომ სარჩელი არ იყო -- რაიონული სასამართლოს განსჯადი და ამ სარჩელით მას -- საქალაქო სასამართლოსათვის უნდა მიემართა.

აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა 2017 წლის 03 თებერვალს.

2017 წლის 06 თებერვალს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა მოსამართლე -- -- და უარი განაცხადა მის მიერ წარმოდგენილ კერძო საჩივარზე.

**2.4.** 2017 წლის 09 თებერვალს -- რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა -- -- მოპასუხე სს ,,-- --“ მიმართ, ზიანის ანაზღაურების (7 500 ლარის ოდენობით) და ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით.

2017 წლის 17 თებერვალს მოსარჩელემ წარადგინა სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხეზე ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

2017 წლის 22 თებერვალს მოპასუხემ შესაგებლით მიმართა სასამართლოს, რომლითაც არ ცნო სარჩელი.

2017 წლის 28 მარტს გამართულ სასამართლო მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელე -- -- წარმომადგენლებმა, -- -- სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა სარჩელის გამოხმობის შესახებ.

2017 წლის 28 მარტის განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, 2017 წლის 09 თებერვლის სარჩელი დარჩა განუხილველი.

**2.5.** 2017 წლის 19 მაისს -- -- სარჩელით ისევ მიმართა -- რაიონულ სასამართლოს მოპასუხე, სს ,,-- --“ მიმართ ზიანის ანაზღაურების (8 700 ლარის ოდენობით) და ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით.

2017 წლის 29 თებერვალს მოსარჩელემ წარადგინა სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხეზე ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი. იმავე დღეს მოპასუხემ სასამართლოში შეიტანა შესაგებელი. 2017 წლის 29 თებერვლის განჩინებით საქმეზე მოსამზადებელი სხდომა ჩაინიშნა 2017 წლის 13 ივნისს.

2017 წლის 13 ივნისის სხდომაზე საქმის განხილვა გადაიდო 2017 წლის 19 ივნისს. 2017 წლის 19 ივნისს მოსარჩელემ საინჟინრო ექსპერტიზის ჩატარების შესახებ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს. იმავე დღეს მოპასუხემ იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე საინჟინრო ექსპერტისთვის დასასმელი კითხვების წარდგენის თაობაზე.

2017 წლის 19 ივნისს განჩინებით განსახილველ საქმეზე დაინიშნა სასამართლო-საინჟინრო ექსპერტიზა და ექსპერტიზის ჩატარებამდე შეჩერდა საქმისწარმოება. იმავე დღეს მოსარჩელემ წარმოადგინა შუამდგომლობა სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების თაობაზე (ზიანის ანაზღაურების თანხა გაიზარდა 9 900 ლარამდე).

2017 წლის 22 სექტემბერს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ სასამართლოს წარედგინა საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა.

2017 წლის 28 სექტემბრის განჩინებით განახლდა საქმისწარმოება და საქმის განხილვა დაინიშნა 2017 წლის 13 ოქტომბერს.

2017 წლის 09 ოქტომბრის განჩინებით კანონით გათვალისწინებული საქმის განხილვის ვადა გაგრძელდა 15 დღით.

მოსამზადებელი სხდომა გაიმართა 2017 წლის 13 ოქტომბერს. -- -- დააყენა 3 შუამდგომლობა, 1) სპეციალისტის მონაწილეობით, შენობის ადგილზე დათვალიერების; 2) სარჩელში მითითებულ პირთა მოწმის სახით სასამართლოში დაკითხვის და 3) სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის (11 700 ლარის ოდენობით) შესახებ. სასამართლო სხდომა გადაიდო 2017 წლის 02 ნოემბერს, რომელიც ასევე გადაიდო 2017 წლის 10 ნოემბერს.

2017 წლის 16 ოქტომბერს მოსამართლე -- -- აცნობა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“, რომ საინჟინრო დასკვნის ავტორთაგან 2 ექსპერტი უნდა დასწრებოდა 2017 წლის 10 ნოემბრის სასამართლო სხდომას.

მთავარი სხდომა გაიმართა 2017 წლის 10 ნოემბერს. განხილვის მიმდინარეობისას მიღებულ იქნა განჩინება ადგილზე დათვალიერების ჩატარების შესახებ და სხდომა შეჩერდა. ადგილზე დათვალიერების დასრულების შემდეგ განახლდა სასამართლო სხდომა და მხარეებს განემარტათ, რომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება მოხდებოდა 2017 წლის 24 ნოემბერს. საქმეში არსებული მასალებით დასტურდება, რომ ადგილზე დათვალიერების შესახებ შედგენილია შესაბამისი ოქმი და არსებობს ვიდეო ჩანაწერი.

2017 წლის 20 ნოემბერს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა, სასამართლო სხდომის ოქმების სრული ვიდეო და აუდიო ჩანაწერების და 2017 წლის 10 ნოემბრის ადგილზე დათვალიერების ოქმის ასლის და ვიდეო ჩანაწერის მისთვის გადაცემა.

2017 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე -- -- უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

2017 წლის 20 დეკემბერს მოსარჩელემ მოითხოვა დასაბუთებული გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარება.

2017 წლის 26 დეკემბერს -- -- ჩაბარდა როგორც სასამართლო სხდომის ოქმების ასლები, ისე 2017 წლის 24 ნოემბრის დასაბუთებული გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელის მიერ სააპელაციო წესით გასაჩივრდა 2018 წლის 08 იანვარს.

**3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება**

საჩივრის ავტორის განცხადებით, შესაძლოა სახეზე იყოს მოსამართლე -- -- მიერ ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] - მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის, „მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების" ჩადენის ფაქტი. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ ხსენებული გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და განვსაზღვროთ, კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

**3.1.** საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- რამოდენიმეჯერ დაუსაბუთებლად უთხრა უარი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. შესაბამისად, პირველ რიგში შეფასება უნდა მიეცეს საქმის იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეეხება უშუალოდ გადაწყვეტილების კანონიერების საკითხს.

ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[10] - მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, მოცემული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით „რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ სამოქალაქო საქმეებს."

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად (საერთო განსჯადობა), „სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი

იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით.“

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 18-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით (ნივთობრივი განსჯადობა), „ნივთობრივ განსჯადობას განეკუთვნება სარჩელი, რომელიც მიმართულია უძრავი ნივთის მესაკუთრის ან მფლობელის წინააღმდეგ, აგრეთვე სარჩელი, რომელიც აღძრულია უძრავი ნივთის დაზიანების ან ზარალის ანაზღაურების გამო.“

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.“

მნიშვნელოვანია, რომ საჩივრის ავტორს, კანონმდებლობით მინიჭებული უფლების ფარგლებში, შეეძლო ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გაესაჩივრებინა 2017 წლის 26 იანვრის განჩინება და ამგვარად მიეღწია დასახული მიზნისათვის. საქმის მასალებით მტკიცდება, რომ კერძო საჩივარი 2017 წლის 26 იანვრის განჩინებაზე მოსარჩელემ სასამართლოში შეიტანა 03 თებერვალს, თუმცა, 2017 წლის 06 თებერვალს თვითონვე გამოიხმო ის და უარი განაცხადა 2017 წლის 26 იანვრის განჩინების გასაჩივრებაზე.

**3.2.** საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ სარჩელის და კერძო საჩივრის გახმობა განახორციელა მოსამართლის და მისი თანაშემწის რეკომენდაციით.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ -- -- მიერ წარმოდგენილ საჩივარში და მასზე დართულ დოკუმენტებში, ასევე, საქმის მასალებში, ამ მოსაზრების დამადასტურებელი მტკიცებულება არ მოიძებნება. საჩივრის ავტორის მტკიცება, რომ მოსამართლემ აიძულა ის გაეხმო სარჩელი და საჩივარი, რადგან მოეხდინა საკუთარი შეცდომების ამგვარად დაფარვა, ყველანაირ საფუძველს მოკლებულია.

**3.3.** საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ მოსამართლემ არ შეადგინა ადგილზე დათვალიერების ოქმი, რითაც დაარღვია კანონი.

საქმეში არსებული დოკუმენტების თანახმად, 2017 წლის 20 ნოემბერს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა, სასამართლო სხდომის ოქმების სრული ვიდეო და აუდიო ჩანაწერები და 2017 წლის 10 ნოემბრის ადგილზე დათვალიერების ოქმის ასლი და ვიდეო ჩანაწერი. ასევე, 2017 წლის 20 დეკემბერს მოსარჩელემ მოითხოვა დასაბუთებული გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარება.

2017 წლის 26 დეკემბერს -- -- ჩაბარდა როგორც  სასამართლო სხდომის ოქმების ასლები, ისე 2017 წლის 24 ნოემბრის დასაბუთებული გადაწყვეტილება.

საქმეში არსებული მასალებით დასტურდება, რომ ადგილზე დათვალიერების შესახებ შედგენილია შესაბამისი ოქმი და არსებობს ვიდეო ჩანაწერი.

უსაფუძვლოა ასევე საჩივრის ავტორის მტკიცება იმის თაობაზე, რომ მოსამართლე აყალბებდა სხდომის ოქმებს, რადგან ამ მოსაზრების დამადასტურებელი დოკუმენტი არც საჩივრის ავტორის მიერ არის წარმოდგენილი და არც საქმის მასალებში მოიპოვება.

შესაბამისად, მოსამართლე -- -- მხრიდან ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $75^{1}$ - მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის, „მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების" ჩადენის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

**4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $75^{12}$ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $75^{1}$ მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (კენჭისყრაში მონაწილე 15 წევრიდან 15 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით) მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და $75^{12}$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №29/17, მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

**გიორგი მიქაუტაძე**

**საქართველოს იუსტიციის**
**უმაღლესი საბჭოს მდივანი**